საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური სწავლების ცენტრი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე

ოქმი №18

08.08.2022წ.

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 8

10.08.2022წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

თ ე ლ ა ვ ი

2022

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური სწავლების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება თანამედროვე ინოვაციური სწავლების/პრინციპებისა და მეთოდების სასწავლო პროცესში ადაპტირების მიზნით.
2. უნივერსიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
3. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცალკეულ სასწავლო კურსების განხორციელებისთვის თანამედროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო (ელექტრონული, ციფრული, ვიდეო) რესურსების შექმნის მხარდაჭერა;
4. სტუდენტთა ტექნიკური უნარების განვითრების მხარდაჭერა თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით.
5. სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა ციფრულ, ელექტრონულ და ინოვაციური რესურსების შექმნის პროცესში.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები

1. ცენტრის ფუნქციაა - უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სხვა მიზნების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს მისი კომპეტენციების შესაბამის ღონისძიებები (ტრენინგები, საჯარო ლექციები, ვორქშოფები, ვიდეო კონფერენციები და სხვა.);

2. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მოიძიოს, შეიმუშაოს და დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინოს თანამადროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო რესურსები;

3. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალსა და სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ;

4. აწარმოოს სასწავლო პროცესში ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსების გამოყენების სტატისტიკა და პერსონალის ეფექტიანად მუშობაზე დაკვირვება.

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი უფლებამოსილია კომუნიკაცია დაამყაროს სხვა უნივერსიტეტების სტრუქტურულ ერთეულებათან/ტექნოლოგიურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის დამყარების მიზნით.

6. მოახდინოს ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესის განვითარების მიზნით;

7. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმღვანელობა

1. ცენტრი არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხელმძღვანელი და წამყვანი სპეციალისტი.

1.1. ცენტრის ხელმძღვანელი:

- წარმართავს ცენტრის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და ცენტრის დებულების შესაბამისად;
- ადგენს ცენტრის სამოქმედო გეგმას;
- ახორციელებს ცენტრის საქმიანობის კოორდინაციას;
- შეიმუშავებს ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტაციას;
- წარმოადგენს ცენტრს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და საგანმანათლებლო ერთეულებთან;
- წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საჭირო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში მხარდაჭერის მოსაპოვებლად;
- წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საჭირო რესურსების მოძიების მიზნით;
- ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;

- საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

1.1.1. ცენტრის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით.

1.2. ცენტრის წამყვანი სპეციალისტი:

- უზრუნველყოფს ხელმძღვანელის მითითებების ზედმიწევნით შესრულებას;
- უზრუნვეყოფს ცენტრის მიერ დასახული მიზნების მიღწევის ხელშეწყობას;
- უზრუნველყოფს ცენტრის ტექნიკურად გამართულ ფუნქციონირებას;
- ხელს უწყობს ცენტრში კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას;

1.2.1 ცენტრის წამყვან სპეციალისტს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. ცენტრი ყოველწლიურად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და ადმინისტრაციას;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. ცენტრის ფუნქციონირების შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;
4. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მ. ღარიბაშვილი/